გალბვანს შიგნით, ახლო სახლისა,

ტაძარი უდგას შემული ტურფად,

იქ მყოფნი ბერნი, წმინდა კრებისა, —

შესტროინ ლოცვით ღილით, თუ მწერებადი

რომ მივეღ იქ იმ მყუდროს უდაბნოს;

საღრმოთო გრძნობითა გული მიძერადა,

მოხუცი ბერი წამოდგა ახლოს,

ხელს ვეანბორე — ის პირჯეარს მწერდა.

მითხა: შენ შკლო, ვინ ხარ, რა გინდა,
ილოცავ, შეხეალ წმინდას ტაძარსა?

— მიუგე: დიახ, ნახვა შომინდა,
შორის ქვეყნითგან მგზავრად მავალსა.

და რა გაალეს კარი ტაძრისა,
წმინდათ ხატებს რა თაყვანი ვეცი, —

ბერმა: აი, გვამიც თანათანისა,
ვისგან აღ შენდა, მგონია იცი?

— დაპირი სოფელი და დილებაცა,
და აქ შესწირა გრძნობა და სული,

მის ღვაწლის უყურებთ, ხედავ? — დღესაცა,
ჰსჩანს: გვჯობნებია ჩეენ ნივთეული!

ვკალო: მამაო, ამ აჩადილს სოფელს,
რას ვემონებით ხანგრძლივ, რას ველიო?

არა ვპრწმუნდებით თვალითგვე ნახულის:
მეფე, გლახვი, თანავაკსწორდებით!

პასუხად მიგო: სასახლეც ნახე,

ნაოლად გამოჰსოებაში მისა დიდებას,

ეს ცრუ სოფელი მაშინ დაძრახე...
ცრემლით ვიქარებ შეც მწვარებას...

ამიძღვა კიბის თლილის ქვისასა,

შინ შემიყვანა რა სასახლეში,

ფიქრით ესინჯაელი ყოველს მხარესა

თითქოს ვიყავი რალაც სიზმარში.

ფანჯრით ნიავი, ფოთოლს მოწყვეტილს
ჩემკენ ისროდა, ხეთ აქანებდა,

სარკმლისა ხლოს ვარდა და ხეხილს
ფრინველისა გუნდი დაჭ ჭიჭრებდა.

გულ ამომჯდარი, როგორც ყმაწვილი,
ბერი მდუღარეს ცრემლებსა პლვრიდა,

ეს ვნახე, — ვიქმენ გაშტერებული,
რა ვითხე მოჰყევ, არ მომერიდა:

მაშ ჭოშითმინე ვიანბობ მეტა,
მოკლედ, აქა იქ, ჩემს გარდასავალს,

ამ მოგონებით ზარი დამეტა, —
ნეტაშუ დამშლიდეს საჩქროდ ფეხფლება...

— მეც ეთავადობდი, ეყავ განთქმული,
სახლ-კარი მეონდა გაღმა მხარშია,

ჩემთვა უღირსნა ცოლი და შეილი,
გარს მესვეოდნენ უბე მკრდმია, —

ქორფები მყვანდნენ, ვაჟი შეილები:
სამნივ კოკოჩს ვარდს ემზგავსებოდნენ,

გიშრისა ფერი, შავი თვალები,

თეთრს ყირმიჩს სახეს დაუშევებდნენ.

მათზედ უფროსი მე მყვანდა ქალი,
თექვსმეტის წლისა, — მშევნიერება;

არ გაიფურო, ვტყუი მშობელი
და განგება ესთევი ესრეთი ქება!..

რომ შევსულვიყავ უცებ სახლშია,
ჩემი კასია წინ შემხვედროდა,
გაესილი მთვარე ვით ღამეშია,
ბრწყინვალე შუქით ზედ დამნათოდა.

არსად გინახამს, — განთქმულს მხატვალსა
რომ დაეხატოს სურათი რამ ცდით,

იგიცა, ეგრეთ, თვით შემოქმედია,
სრულად შეემქო თვალ ტანადობით!

ნეტამც იმ დღესა, ოდეს საწყალი,
სკიმონ ჯანიძემ ალავერდს ნახა,

იმ დღით უყებრდა მას ჩემი ქალი
თურმე იდუმალ თვესთვე დასახა.

იმ ალავერდში, მზგაესი არ ჰყეანდა,
კასია, თვე ტოლთ ყველას ჰსჩაგრამდა,

ნაზი ღიმილი ბაგეზედ აჩედა,
როცა ცეკვამდა და დაფრინამჭა.

ჭეშმარიტა რო სკმონიც ისე
იყო იმ ხალხში განსხვავებულია:

გადაშლილს შუბლს და მშევნიერს სახეს

აჩიდა ყოველი სიკეთე თქმული.

სამ დღეს იცოდნენ იქ ხომ ფლეობა,
ჯირითის ტყორცხნა, ლხინი და შვება,

პეტრი და გერაელი ხალხის ურილობა,
დუქან-ბაზრები ერცელი გაჭრობა..

მოვიდლეობეთ, — შინ რომ წავედით,
გზაც ერთი გვეკონდა ჩუღუნ და სკმონსა,
დარახტულს ცხენებს შივაქროლებდით, —
ლხინით გავედით ალაზნის ფონსა.

მგზაერნი ერთმანერთს მერმე განეშორდით,
მაგრამ სკმონ შინ, ჩქარა გვეტუმრა.

ცოლ-ქმარი დავხედით, ქალს კი ვერძლამდით,
მის ნახეაც გვთხოვა, ეითომ გვიხუმრა.

შემდგომ მოგზაენა მოციქულები,
ქალს თუ არ მომცემთ, თაეს მოვიკლამო,
დედის ერთა ვარ, არ ვებრალები,
კასიას ჰყითხეთ, რათ უმალამთო?.

ცოლქმარით ვარჩიით, ნათესავთ გჰეითხეთ,
გვითხრეს: უკეთესს აბა ეის მისცემთ —

ჰყვიანსა და გმირს რას დაუწუნებთ,
სიკეთისაოპს ყველა პატივს ვსცემთ.

ჩუღუნ შეუთვალეთ: ნება დაგროვეით,
გსურს, ქალს, ნიშანი გამოუგზავნე,
და თუ გსუროდეს გვირგეინ კურთხევით,

იხარე, შემდგომ თან წაიკენე...

მეორე ღამეს, ჩუპა მძინარეთა
თავსა დაგვესხა ლეკების ჯარი,

კარის შტერევამ და დაფის ბრახუნშა,
მსწრაფლ დაგვაღვიძა, მოვიდა მტერი.

როგორც მივედი თოფ-იარალთან,
მე ჩამოლება ვეღარ დაესწარ,

მძვინეარე ლეკინი, მოცვიედნენ და თან
ხანჯალი ღამების, ჰსურდათ შევეკარ..

გამწარებულმა, მე, ლექს, ხანჯალი
წევართეი, ხელი მთლად გადუგრისე.

თავში შემოვყარ და გაკეთილი
დაბლა დაცუა, რახუნით, ეით ხე.

ერთიან მოილეს ჩემზედ გრიალი,
შუა-მომწყველეულს ხელი შემიკეს,
სამ ლექს ვეჭირე თოკით გაბმული,
ხანჯლების ჩხელეტით სისხლში მომბასრეს.

ბელადმა მათმა რომ დაინახა.

ხელი მოჰკიდა კასიას მჰაწარაფლად,

მეტს არასა გთხოვთ, ლექს დაუძახა,
ეგენი თეტრა და ეს მე წილად.

მაშინ მიეპხედე საბრალოს ჩემს ცოლს,
ჭინ დაეჩიქა ჰსთხოვდა ვედრებით:

თეტრი ჭირიმეთ, აი, ამ წერილ-შეილი

ნუ დ.მიხოცამთ ტყვეთ წაიყვანეთ;
თუ არ წაასხამთ ჩქარა მომკალით,
მაგათ სიკედილს კი ნუ დამანახეებთ;
აბა რომ მოკლათ, რას გ.მორჩებით?
— ტყეეს დახსნიან, მაშინ ბევრს ირგებთ.
— პასუხის ნაცელად, წიხლები ჩაჰერეს,
უთხრეს: რას ყმელობ, მანდ ვინ გაკითხებს,
ჯაბრით, სამნივე, წინ მოუყენეს,
უთხრეს: უცურე, თვალს ნუ აშორებ.
ჯერ ერთს შემოჰკრდს, ბასრი ხანჭალი,
ჩქაფუნით სის ხლი დედას შეესხა,
მერმე ის ორი, მთლად დაკუწული,
მუხლსა და კალთას ზედ გადუყარა!
ლეგი ჯრყვიყებს: ჰაი შე ქართველო!
მთებში მეთრია? მწყდემოდა წელი.
უბედო დედამ შეჰკივლა: „შეიღლნო!“
და მსწრაფლად განქრა, როგორც სანთელი.
რა ესა ენახე, მაშინ გაეცოფდი,
კაილებით მიგჰსწედი ერთს, თუ მეორეს,
ხელს გამოუსხლო და თოვსა ეპსწვეტდე,
იმათ მაშინევ დაშბაჩა დამცეს...
როდესაც თვალი მე გაეახილე,
ზედ წახურული მეონდა ფარჩები,
პირს გადეიხადე და რა ეიხილე!!

თბერთ და ფერხით შენთო სანთლები!

წამოვაჭედე, ჩემს გვერდით იწვენენ,
ზარ-წახურულნა საპრალოდ მკედარნი,

გონს მაშინ მოველ და მომაგონდნენ,
ის სალმობის დღე და სისხლის ლვარნი..

მეც ეგონებივართ თურმე მათ მკედარი,
და იმას გამო აქ ასე ედევარ,

უბედო ბედი, ჩემი რა არი
რომ მათ შემდგომ აწ, საფლავს არ ვწევარ.

გულმა ეს მითქვა, სულ დაიხოცა?
მაშ რილისთვის დაერჩე მე ობლად,
ისევ დაუპიტები, ვიწევ როგორცა,
ამათთან მეცა დამშარხონ ცოცხლად.

ზეჭედ წამოვდექ, რომ გამესინჯა,
სრულად ვთრთოდი რა ახლოს მიერდა
ტირილითა ეჭსთქვა. ლმერთო ეს დასჯა,
რათ მომაყენე, რას გიშავებდი?

ამ ჩემს სიტყვაზედ სხვა ოთახიდამ,
აქ შემოცევილნენ მაწრაფულ ჩემში ყმანი,
რქვე თურმე სთქვა აი ეს მამიდამ:
რა მეყურება? ეის ხმათ ეიცან?
კივილით მოჩბის თმებ-გაწეწილი,
მოხუცებული ქვით-ქვითოთ მწარედ,
თან იმას მოჰსდევს კაცი და ქალი,

ვრნუა ვინ გეყვანდნენ მონათესავედ.

სიჩხარსა ვჰქედამთ, თუ ცხადათ მართლა? გვითხარი ჩქარა და დაგვარწმუნე.

შენ იყავ მკედარი, გხედავთ აწ ცოცხალს, სასწაულია? — გვრწამს, ვართ მოსაწმუნე.

მე უპასუხე: ჩემი სიცოცხლე, რათ მინდა ეხლა, ამათ დამკარგავს;

სულ დამიხოცეს, ქვებით ჩამჭოლე... ტანჯეითაც თრევა, სიცოცხლესა ჰვაეს?

შამიღამ მითხრა: რაღას უშეველით, საეშმაკოთ ხომ ვერ გაჰქდი სულსა,

ბიჭო, წინ მაღლებ, ვინ დაესწარით, თქუმნევ იტყოდეთ ანბაეს ნამდეილსა.

ბიჭმა ჰათქვა: ქალი რომ წაიყვანეს და რომ მივიღნენ მუხა ციხესა,

იქ მოვეწიეთ ჩრუმ იმავ ლამეს, — მდევ არჩედ გავჰყე ბატონს სიძესა.

სეიმონ შეება ორმოცის კაცით ბულ ჯაფრიანი გამძლავრებულ ჯარს,

უბალთამ ლევნი თოვეთა და ხლმით, შშუმნიერს ჭაბუქს, გულალსა და გმარს,

დაზვივლა ქართულთ ნუგეშის ხმანი: „აბა ბრძებო! თქუმნები ჭირიმეთ,

გაშენებელით, მამულს შეეჭარისა თავნი;
მამა პაპასთან პირ ნათლად წრეჭალგეთ!

თოტით და ხლმითა მარჯვეთა ჰკეთდა
ჰსოცდა, მიპსლევდა ჯარს უშველებელს;
ჩმ დროს კასიას შეხედა, დაფეთდა,
ხმალი გაჭარუორცხნა ხელიდგან, შორს ველს.

იქით გაქანდა, საჩაუ ჰსაჯდა ქალა,
წარბ-შეჭმუხვნილი, თვალ ცრემლიანი,
ზედ შემოხეია ბროლ მკერდზედ ხელი,
დაჭკოცნა, უთხრა: ცეცხლი მწვავს შენი,
ვაჟებურ სიკედილს არ დაეინანებ,
ჩემი თჯახი აღიფხერეს, გაერეს,
შენ თუ იცოცხლებ და მომიგონებ —
ნუ ველირსები თუნდა სამარეს!

კასიამ უგო: მე რათ მაშდაბლებ?
გული მეცა მაქეს, მეც მეურნება,
მომყალი შენვე, ნუ აგეიანებ:
მცერა! მიპსცემს, ვისაც ვინ ეყეარება?!.
მაშინ სეიმონმა მიბრძანა: ჩქარბ,
გამუქე, ჯარს რათ გვიგვიანებენ?
ჩქარა მოვიდნენ, ეს დაშაბარა,
ამდროს გარს ლევნიც შემოეხეინენ.

ჯაგში გამოესპსერ, მაგრამ კი მიგრძნეს,
წინ გადამიდგნენ გზები შემიკრეს,

ქვე აესწარ ერთს დიდს მაღალს ხეს,
ჩუმათ უჭერეტდი ომის სიცხარეს...
ცხელ-ცხელი ტყვია, ისე ჰსცონდა,
როგორც მაისის შხაპუნა წვიმა,
სკმონ დაუოდეს, სისხლი ჰსდიოდა,
თუმც არ ისმოდა კენესა და მოთქმა.
კასიამ ნახა, მიერდა მარდად,
უნდა შეეჯრა ის დაუოდილი,
ახლა მას მოპხედა სკმონის ნაცელად,
იქევ დაეცა ცნობა მიხდილი!
მისწედა სკმონმა მკერდზედ მიიყრდნო,
ის იყო კიდევ ჰხედებოდა სული, —
მართლად ეპყოფილებართ მუხთალი, უნდო,
რად არ შეეჭირე სიცოცხლე ტკბილი.
სალმობის დღეში, მათი მეშვეოლი
არა სულდგმული იქ არსითა ჰსჩინდა,
ოხრათ მის ცხენი, აღვირ წაყრილი,
ხან ჰსძოვდა ახლოს, ხან ხვევნებდა
ხანჯალ მოსმული, სკმონი, მსწრაფლიად,
წამოეწია, კასიას მკელელსა,
გაბრაზებულმა კუჭა სულ მთლად
და მოუბრუნდა ისევე ქალსა.
სულ დაეხოცათ ჩუმინი ბიჭები,
ვეღარა ვნახე ერთი მათგანი,

მხოლოდ ყვიროდნენ წუწყი ლეკები
და მათ ჭაჭყანსა მთამ მიჰსცა ბანი.
სკმონ აჩც აღგა, ალარც იბრძოლა,
იჯდა მწუხარე, გამწარებული,
შას ორთა თოფი მაშინ ესროლა,
მოკლეს და მერმე ჰყენს განძარცული.
პელადი მათი სკმონის ცხენსა
ზედ მოაფრინდა გარდიგდო თოფი,
ლეკებს უძახდა, ის თავის ნიშანს,
მოგროვდნენ, მიაქეთ მთაში ალაფი.
წაეიდნენ და რომ ფეხის ხმა მოსწყდა,
მაშინ ჩამოედო ძირს, ჩუმათ, ხილვან,
დანაშაული მავეს, ხმაც გამიტყდა,
შარტო მე დაერჩი ცოცხალი რადგან.
რომ გამოეცილდი, მთასთანვე ახლოს,
შემომხედა კიდეც რესის ჯარები,
ანბავი მკითხეს, მიებრუნდით ბოლოს,
წაშოგასვენეთ აქ ქალყმა მკუდრები.
ამის მომსმენსა რა არ მმართებდა,
ვიტირე, მოვჰოვე და მოლათ გაეშმაგდი,
ჯარა ექიმი ვანც ხალხს ჰერბელობდა
არ მიეკარე, — მაგრამ არ მოვჰედი! }
რა განგიგრძელო, ჩემსაც საყვარები,
ცოლ-შკლთან სრდეც დაესხაფდავე.

მუჩმე რაც მეონდა სულ მონასტრებში

შევსწირე, შევდექ, მწირად, აქავე...

რომ გათავა მან ეს ანზავი,

კელად დალვარბ ცრემლი მრავალი,

მწუხარედ მოჰსონება: ვაი, ნეტავი,

მე ეხლა მაინც გარღამხდეს გალი.

ეუთხარ: მამაო, ამ სევდიან გულს

რისთვს აღმიგზნე სახმილის ალი? —

ასე მცოდნოდა აქეთ გამოვლილს,

კერა მნახეიდა მე შენი თყალი.

მყითხა: სულ უნდა საჭართუმში,

მართალთა სისხლი უბრალოდ ჰქეარონ?

ვერ გაგვახარონ ჩრდინ სამშობლოში,

კაცა სიცოცხლე მთლად გაუმწარონ?

ოთხსაყე კუთხიკ მტერნი მფლეთელნი,

გარს გვახევიან, გვიკლებენ, გეხოცენ,

თუმცა შაგრობენ გმირნი ქართუმში,

ერთსა ჩრდინგანსა-ოცს შეახოცენ.

მაგრამ რა ეიცით ბოლოს რა მოაქვს,

გაუმაგრდებით მათ ძალას, განა?

მაშულს და წმინდათ წინა-პართ საფლაკეს,

მიიტაცებენ ნუ თუ ჩრდინგანა?..

რა ეს წარმოსდევა, სვეტს მიესვენა,

თვალებს იწმენდდა გაფიორებული,

ესთხოვე, გაეიდეთ გმართებს მოთმენა,
დღეს ლუტისაგან ხარ შენ თვებული.
ჩამოელეთ ორთავ კიბე იგივე,
მიმართა მან თვს სენაკს ზედგრულმა,
და მე ჩემს გზასა შეუდექივე,
ფურის უფრიულით გარემოცულმა.
განელო დროებამ და გაირბინა,
მეოთხეულნო, ვნახეთ ღაღი ცელილება:
შავ ლუბლებ შეა ძლევა იბრწყინა,
ვჰგონებ განვჰდებოთ მტრი და ბრძოლა.
ჩემის საქართველოს, რომელიც იცნობს,
არ განვეირებს ზემო თქმულს ანბავს,
კივების მხსნელია, კაციზში ვინ ჰგმობს
და ერთობ სამწყსო მახერპლს არ მეპსწირავს. (*)

კ. ბ. ჯორჯაძისა.

1853 წელს.

სოფელს გრემში.

(*) «ციხესიმაგრის» რედაქცია უღრმესის გულით შესრწილებული მადლობა-
ქაღმისას გ. ბ. ჯორჯაძისას. ამ ჩინებულის ლექსის გამოგზავნის
სათვას და გეაღად იძღვნებს. არ მოაკეთება ჩემის უკრალს თავის ბრწე-
ვინგაღე კალმის ნაღებებს შრომას.

(ს ი ს კ რ ი ს , რ ე დ ა ქ ც ი ს ი ს ა გ ა ნ .

წასრულს ნოშერში დატეჭდევით, ჩინებული, ზნეობის
გასაშართი სტატია, „ლოტის მოქმედება ოჯახზე“ თავსე-
დისა და ჩიტინდა სამწუხაროდ, ეს სტატია ისე დაბეჭდილა,
რომ სტრიქონები და თითქმის მრთელი გურალიც, გადასხვა-
გადმოსხმულა, ისე, რომ აღარ ფრისათან, აზრი აღა-
გებარა. ეს დიდი შეცდობა მოსელია ასოების აძლეშვილს
და კორრექტორს, მ.შან, როდესაც ქილაქი მუკულუმით
ორითუ სამს დღლებს. ამ დროის განმაფლობაში, მომხდარა
ეს შეცდომა. ამისი გასწორება არას გზათ არ შეიძლო-
და, ისევე ეს ვარჩიეთ, რომ ეს სტატია ხელუარებ დაბეჭდილა
„ცისკარები“.

რედ. ქ.

ლოტის მოქმედება ოჯახზე .

საკუირელად დაუწესებია ღმერთს ბუნება; საკუირელად
განუსაზღვრავს დაუსაბამოს თავისი ქმნილება! რა არ მისცა
კაცს ღმერთმა ამ ყოვლად ღიღებულს ბუნებაში! ყოვე-

ლიფერი, ამ ბუნებაში მყოფი, სულიერი თუ უსულო და-
უმორჩილა კაცის მ აღალ ნიჭიერებას. სადამდისინ არ მასწვე-
დება იმისი გონება; რა არ გამოუყებ ხელათგან კაცს, მაგ-
რამ ეს არის ძელი, რომ ჩტებ სუსტი არსებანი, ისე ეე-
რა ესარგებლობთ ამ ჩინებულის და ყოვლის ღირსებით შე-
მკობილ ბუნებით; რომ არ ვაცით, როგორ გამოეჩეო
იმის ნაყოფიერებას, და იქნება კადეც ვიცადეთ, მაგრამ
ზნეობას ისე დაუხმავს ჩტებითვის გზა, რომ თვალ წინ გვიძეს
იმასგნით გამონაცემი მასაზედოვნებელი ნივთიერება და ჩტების
სულებს ვალუებოთ შინშალით. — ისე დაუხშავ გონება საცო-
დაეს მომაკავება, რომ წარ გვედრას რამ, გაუსჯელად
გვწადს აიდგას ფრები და თათონ პირში ჩაგეიგარდეს, —
როგორ გვონია მკითხველო, ეს არა ჰგავს უმაღლურებას?
იმას ხომ აღარა ეჯერართ, რომ ჩტების გასჯით მოვიხმა-
როთ ყოველი კეთილი დაწესებული შემოქმედისაგან, ისიცა
გვსუნს, რომ გაუსჯელად, რა გატაცებული ყართ წამხდარ
ზნეობაში, თავის-თავებდ, ყოველი ჩტები ნაკლულევანება,
მოვიდოდეს სისრულეში. როგორც ზემოთაც ვოქეი, საკ-
ერთეულად დაუსესწებია ღმერთის ბუნება, — აშ დაწესებასთან, ისიც
დაადგინა კანონად, რომ შრომით უნდა მოიპოვებოდეს
ურველიფერი; მაგრამ ერთი კაცი კი ეერ აუეა და არც
აქვს ის ძალა მინიჭებული, მარტო თავისის შრომით გამო-
კვებოს რამდენიმე სული; ყველას აწევს ვალი მუშაკობისა.
ერთს სახლობას, ანუ ოჯახობას, რომელი შეადგენს? ერთი

კაცი? არასოდეს! ერთს ოჯახობას, ანუ სახლობას შეადგენენ: კაცი, იმისი ცოლი, შვილები, დები, ძმები და სხვანი, — ამ გვარს ოჯახში, ერთი მამაკაცი. თუნდა დედა კაცი, რომ მუშაյობდეს, შრომას ეწეოდეს, მხნეობდეს სარჩულსათვას, შემოჰქონდეს სახლში და სხვანი კი შინ შეოფრი სარგებლობდნენ, განა ამას ღმერთი შოიწონებს? — ღმერთმა რისთვა დაადგინა ქვეყანად ქალი? იმისათვა კი არ დაადგინა, რომ პრანჭიობდეს, ირთევებოდეს, სტუ, და სხვა კრასკებით პირს ითხუპავდეს და ამაში ატარებდეს დროს. — იმისათვა დაადგინა რომ შრომაში, მუშაკაბაში ეწეოდეს თავის მეუღლეს ქმარსა რა მნიშვნელობა, აქეს მეუღლეობას? ის მნიშნლობა არა აქეს, რომ ჩემთან, ჩემი ცოლი, უღელს ეწეოდეს შრომაში? მე მგონია დადა და დიდად მომაკედინებელ ცოდვად უნდა ჩაეთვლებოდეს იმ ცოლს, რომელიცა დაწოლია შარტო ქმრის შრომას. და მარტო იმისის შრომით სარგებლობს; აქ ცხადათ სჩანს ცოლი ქმარს ყუათს ულევს, სისხლსა სწოვს იმის აგებულებითგან; მაშ რა იქცეა, თუ ეს ასე არ არის, რომ საწყალს კაცს იმდენი ყუათი აღარ მოზღვეს, მარტო თავისის მუშაკაბით, ჩამდენისე გამოკვებოს. ყველამ ციის, კაცს ყუათი ელევა მეტის მუშაკაბით, ვეღრ შესძლებს და მოკვდება უდროოთ. აქ ცხადა თავისი ფლლის გამწევი არ იქნება მავალე, რომ უდოოთა ჰელაქ თავის მოამზაგეს? — ის კაცი, თუ ქალი, რომელიცა უქიმდება თავის სახლისათვა და მერე ქვეყნასათვა, არ ურყვია.

ტოლელებში, ის უფრო მიემზგავსება იმათ, რომელნიცა მუნჯად
განდევნებენ ამ ერცელს ბუნებაში, — მაგრამ ეს რა ეთქეი!
ის მუნჯად განსევნებულნიც კი სჯობიან იმ ცოცხალ
არსებათა; ისინი მაინც არაეს არას აენებენ; ისინი არაეს
შრომით შაინც ხომ არა სარგებლობენ. — აი, დალოცვილა
ქვეყნები ზოგი ერთი, სადაცა ქმარიცა და ცოლიც, მეი-
ლიც, დებიც, ერთის სიტყვით მრთელი ოჯახობა შრომაში
მოდის და წერილფეხობაც კი ოჯახში ცდილობენ სახლში
ს აზრდოს შეტანისათვე! მე რათ ეიქნები მაძღარი ჩემი მკი-
თხველო, რომ მრთელი სახლი კისერზედ მაწევს; მე რათ
ეიქნები მაძღარი, როდესაც რომ დღეში ერთი პური შე-
მაქეს, და ამ ერთ პურს შეღინი და რეანი ვიყოფთ სახ-
ლში, სადაცა დიღით პატარამდინ მოკეცილები სხედან; მე
რათ ეიქნები ბეღნიერი, როდესაც რომ თვეში ერთხველ
თუ ვნახავ ჩემთან უღლის გამწევს სახლში, თორებ ვინ
იცის სად არას და სად არა! — სხურავ, ზნეობაზე ნურას ვიტ-
ყვით, და ისე გატაცემულია ლოტოს თამაშობაში, რომ
როგორც სტუპირი ისე შემოვარდება სახლში თვეში თრ-
ჯელ თუ სამჯერ, ისიც გათენებისას, რა არას მეორე
დღეს შეადლებდინ ექინოს და ცოცა მოისევნოს, რომ ხელ-
ახლა შეუდგეს ვისმე სახლში, კიდევ ლოტოთი შექცევას,
თუმცა პირში ერთი კბალი აღარა აქვს სიბერისაგან. მოდი
და აქ, ხუ დაწევება ერთს კაცს მრთელი სახლის ზრუნვა
და იქ მყოფთ გაძოკება. — რა მარტო მე, ამისი დამწერი.

ყველანი, ასე ვართ მამაკაცნი; ყველანი, ერთს ტაფაში ვიწეოთ; ყველანი, ასე ბედნიერებაში მყოფნი, ასეთის ტანჯვითა უსარგებლობთ, ზენაარსისგან ჩვენთვს დაწესებულის ბუნებით. — ლოტოზე ჩამოვარდა სიტყვა და უნდა ვთქვათ რამე კიდეც, ამ ჩვენი ოჯახის დამაღუპავ თაბაშობაზე, რომელშიაც ასე გატაცებულები არინ, ჩვენი ცოლები, დები, დედები, შვილები, და რომლის მიზეზით ვითმენთ ამდენს შიმშილს, წყურეილს, სიშიმელეს და რამდენს სახლის ნაკლებლევანებას.

მართლად და რა არის? განა შეიძლება ასე გატაცებულიყოს ადამიანი აშ გვარ უსარგებლოდ დროს დაკარგაში, როგორიც არის ლოტოს თახამობა? განა შეძლება ასე სახლითგან ხელის აღდგა როგორც ჩვენ სახლობას აუღა ხელი? აი რას ანბობენ ქალები, როდესაც შეგვეცედრია იმათთან ლაპარაკი: მამ რა ვქათო, მაშ დრო როგორ გავატაროთო! დიდი ლამეები გვიძეს ზამთრივ წინაო, მრთველი ლამე ქვემაგეში ტრიალს, ასპე დროს გატარებ. არ გვირჩევნიაო! თუ ზაფხული არის, ამით მართლულობენ თავსა: მაშ სად წავიდეთო? გარეთ გაეიდეთ, მტერით თკალები გვევსებაო, ასევ ასე ვარჩიეთო, რომ ერთერთ სახლში შევიყარნეთ და ლოტოზედ დრო გაებროთო! აჭერუმ ქალების გონიერებავ! აჭერუმ, ასე სამართლანათ სჯავ; დრო

გატარება გახლავთ, ლოტოს თამაშობა! ამას ეძახიან დროს გატარებას! — აბა ახლა გავსინჯოთ, ამ დროს გატარებით-გან რა გამოდის და რა შეუდგება. გათენდა დილა, ჯერ ეს უნდა მოგახსენოთ ბატონი მკითხველო, ლოტოს მიმ-დევართათვს დილა არის, მეათე, ეს კიდევ აღრე მოგახსენეთ ანუ მეთერთმეტე საბთი. —

წამოყო თუ არა თავი, ჩეენამა სახლის ქალმა, მოსდის, ბარათი, კნეინა გთხოვთ ამაღამ ლოტოზე მობ. რანდითო, სსვანიც ბეერნი არიანო, დრო ერთათ გავატა-როთო; ან კიდევ: ბარბარე პოლოსოეისამ ერთი ჩეენკენაც ემე, ახარ ლოტოს შევეც ქეთო; — თქვენი რისხეა შეონდეს თუ იმას ლოტოსი გაეგებოდეს რამე, — მაგრამ რომ „მოდ-ნა“ არის: შაშ ახარ, არ მისდომს ამანაც და თავის ფულე ბი არ გამოაჩინოს, თუმცა ეს რიგი ხალხი უფრო თავი-საკენ იურძავს და იქნება კიდევ იმ ჰერით იწყევდეს რომ ფულს ფულები დაჭატოს. — დაან, — მოუვიდა ბარათი თუ არა, შეუდგა ერთი ბლიბურთი, ჰაი კაბა ჰაი სარკე, ჰაი უმა-რილი, ფერი, — მაგრამ ვაი შენ ბეჭედი ფული არ არის ჯიბე-ბი! რაქნას? ქმარი ალარ აძლევს, მობეჭრდა ფულის გადე-ბას, — აქ საღამომდინ იმ ფიქრში არის თუ საიდან მოი-პოვოს ფულის ბოლოს, ბეერის ფუქრის შემდგომს, უნდა ან ბეჭედი წაიშროს თითითგან, ან კოქნები გაგზავნოს და-

საგირავებლათ, აიღოს თუმანი ცეცხლის ფასათ, და წაბქა-
ნდეს ჩვენი სახლის „ტანდიკინი“ — ბარაქა შენს კალოსი;
ამ გზით, დიდი ულელი გაუწია თავის ქმარს და შესძინა
ცოტა ვალი, ბეჭრი კი არა! —

ამ ერთის მხრივ აამენა ოჯახი! ახლა, ენახოთ, მეორეს
მხრივ როგორ ააშენებს და ან მესამეს მხრივ! . . . როდე-
საც დილით განისვენებს ლოტოს მოყვარე დარბაისელი,
ყმაწვილები იმისი (თუ ერთი ნახევარ დუჭინიც ეგულება,
ღმინ მჩერილებით ცოლო და შეილო, გამოესიავ ამ
ჭუკის ბედნიერებას, და ორავე ხელი თავში შემოიკარ) ადგებიან და რა დაინახევნ, მეპატრონები ტკილს თცნებაში
განისვენებენ, ისე პერანგებით ეცემიან ქუჩას, და თუ მებულ-
კვესაც მოახელეს, თითოს მოსტაცებენ და ჭამით იგარცვლებან
მტერში. (ექ უხაროდეთ ბულკის გამყაჟეელებს, რა ხედავ
პატრონები რომ არ არიან მაყურებელნი, ერთის მაგირ თუ
ორს მიაჩინებენ ხელში, და კუდელზედაც ერთ აბაზის
მაგირ თუ აბაზის მიაწირენ. ესეც მეორე მხრივ აშენდა
ოჯახი] — ვისის წყალობით? ქალასა! — ეს რა არის, არაფე-
რი! ყველას გაუძლებს საცოდავი კაცი! ყმაწვალების გაზრ-
და? როგორ გვიჩია შეითხეველო, ამ გვარ დევების ხელში
ყმაწვილმა როგორი სწავლა უნდა მიიღოს და თუ შენ არ
იცი, მაშ მე გეტყვა მკოთხველო:

ყმაწეილი იზრდება ამ მდგომარეობაში, — შეუპოვრად? ეს შეეპუეოს, რომ პატრიონი არა ჰყავს, პატრიონსა სძინავს; პატრიონი სხუა საქმეში არის გართობილი; იმას ამისათვის არა სუალიან! ლოტო არის იმისი ქმარიც, შეილიც, მამაც და პაპაც! — დიახ! იზრდება ისე, რომ რაცა სურს იმ გგვარად იქცევა ქუჩის ლექსებსა სწავლობს მშვენიერს. ისე მშვენიერს, რომ მეიდანშიაც ძლიერ გაიგონებ მკითხველო; მოუკა დრო სწავლისა, აյ მმოცელი დედა იმისი შონატრე არის, რომროგორმე მოიმოროს თავითვან. მისცეს კი საღმე სასწავლებელმი რომ ეგება უფრო თავისუფლება ჰქონდეს, ორემ როგორიც სწავლა უნდა იყოს იმისათვის სულ ერთია! იმას არ დაედგებს. აქედან გამოეიდა რა? ისა რომ მეილების გაუბედურებასაც კი სხაუის, ერთის რაღაცა წყეულის ლოტოსათვის! — ახლა, გათავდა თქუმშია გვონიათ საჭმე ამითი, არა უკაცრავათ, წავიდა სახლის ბურჯი სტუმრათ ლოტოზედ, დარჩა სახლი ცარიელი, გოგო- ბიჭების სანაბარათ, აბა ახლა, დრო ამათი არის, ეზიდებიან ჯიბით თუკი არის რამე, გარეთ, რა ქნას ქმარია? ის საცოდავი, თუ სამსახურის კაცია, სამააა თამდინ შინ ვინა ნახავს, და თუ ვაჭარი. მოქალაქე, ის მრთელი დღე აღამებს ეჭირობაში, — მაშასდამე, შვლების თავ და პირველი გაზღა, როდესაც ისინი არ არიან, სწავლის ასაჭმი, ეს ვალი აწევს დედებს. — მაგრამ, სად არის დედა?

დედა განისვენებს, სამთლებით და ლაშპებით გაჩალებულს
ზალაში, გრძელ სტოლზედ, ორ და სამ პირად დადგმულთან,
ოც, ოცდა ათ, ორმოც, იქნება შეც ქალებში, ჰეირდრამს
თავსა, ისე ეძინება, ამთქნარებს, ერთ არმინზედ პირს ალებს,
მაგრამ მაინც კალე არ ეშვება და ძალუატანებით იძახის:
დვალეც პეტ! ტრიცეტ! სოროვ პეტ!

გული სისხლით შეესება ჭეშმარიტათ, ამის თქმაზედა
ოპ, ჩეტო ქვეყანაე! აკი გიყვარდა შენი შეილები და ზრუ-
ნავდი ყოველთვის იმათის კეთილ-მდგომარეობისათვის! ოპ.
ჩეტო დედებო ჩეტო ძელნო დედათ-ჩირალნო, თჭპო,
რომელთაც გიყვარდათ ქმრები თჭპო თაჭედ მეტად, და
ყოველი იმათი სიტყვა დიდის მორჩილებით მიიღებოდა
თქუმბენგან; აბა ახლა აიხედეთ, და ერთი მეხდეთ თქუმბენ
შეკლებს, თუ რა მდგომარეობაში არიან. ოცჯერ რომ უთხ-
რათ, ჩეტო ცოლებს, ამ ოცში ერთსაც არ მიაჟურევენ ყუ-
რადლებას. ყურადღებას ვიღა ჩივის, იქნება ისეთიც შემო-
გერტაონ, რომ ხის ფურცელივით გეათრობლონ ერთი საა-
თი მეტი! — ტყვილათ კი არ არის ბრძენთაგან ნითქვამი: დე-
დაყაცის გაწევამ, ცხრა ულელა ხარ-კამბეჩის ძალა დასძ-
ლიაო. — მართლად და, ასე არის! — ბატონო, და, რომ არ
გვეპუებიან! —

აი ბატონო, მოგახსენებთ: ამ დლეებში, ჩემი მეუღლე,

ესე იგი: ჩემთან ულლის გამწევი ცოლი კარგათ არ ეწევა ულელს] ატყდა, ამაღამ მე ლოტოზედ მივდივარო, ერთი ექვსი თუ შეიდი თვის ძუძუმწოვარა ყმაწევილი გეყავს, ბა-რონებო, და რაღანც სამსახურში ამდენი ჯამაგირი არა მაქტს ძიძა დაეჭირო, თითონ აწოვებს ძუძუს; დიალ, ლო-ტოზედ მივდივარო და თუ ყმაწევილი ასტყდესო, მეზობელი დედაკაცის სახელი დამისახელა, ის დედაკაცი შემოაყვანინე და ის მოაწუებს ძუძუსაო. უშალე არ იქნა! დედაკაცო, ლუთის გულისათვეს, დადექ შინ, დადექი შენ ქერქში, ჩუპრი საქმე არ არის! მე ერთი საწყალი ჩინოვნიკი გარ, რაც ოჯახს მოსცდები, ერთ იმოლენას წააგებ! შენ არ მოჰიკედე, არ იძლის! წავიდა! შეიქნა ლამის თერთმეტი საათი, ასტყდა ყმაწევილი, სტირის, ძუძუ უნდა. გაევზაენე მეზობელ დედა-კაცთან, სძინავს! მე თითონ წაველ, შევეხვეწე, მოდის. — აძლევს ძუძუს, არ იჭერს, რა ვქნა, ვის მიემართო? ზამთარია ციფა! წამოვავლე ფარანს ხელი, გულს მოსულმა, ერთა ბრჭი, გეყავს, ისიც ჩემ ქალბატონს თან წაუყვანია, მეზობელი დედაკაცი მოუყენე მტირალა ყმაწევილს, და ფეხების მოვრე-ეით მიველ. რაც ძალა მქონდა, ჩამოვკარ ზარს; გამოდის ბიჭი, არ მიშვებს სახლში, ბრძანება მაქტს, კაცი არაენ უნდა შეუშოვო, სულ ცარიელი ქალები არიანო და თამა-მობენო; ქალბატონმა შიბრძანა, ქალების კრებაში, კაცს ხელი

არა აქტიო. იმ ყინვაშია ეელი გარეთ! კხედავკი რომ ფანჯრებითგან, გაჩინალებული სინათლე გამოდას.—ეყუავი ამ ტანჯვაში და ბოლოს მეორე საათზედ რომ გამობძანდა ჩემი ქალბატონი ცოლი და გამოუქახი ფარნით წან, მევე მამყო პირი, რა საკადრისი არის, რომ კუდისაკუდს დამდევ და ხალხში მარცხენა—მოვიყენე მინ და რა მდგომარეობაშიაც უმაწვილი დაგეხდებოდა შინ, თითონ შენ იფიქ-რე მკითხველო.

ვის სახლშიაც ლოტოს ითამაშებენ ხოლმე, ის ხომ მეტად ძალიან მოგემაში არის; თუ და ათი და ორმოცი ქალების ჩაი, შაქარი, ხილა, სამთელი და სხვა რომ ვიანგარიშოთ, სწორეთ სამი შაური შედგება!!..ახლა, რასაც წაგებს, ის კილვე, სხუჭა არის!—შაგრამ, ვაი, შენ ჩემო თაო, ჩხუბები კი დამავიწყდა! მერე ქალების ჩხუბი რა სეირია, მეტად ძალიანი მუშტები იციან,—იცი იმათი შუმტით ცემა, რომელია? როცა ქალი გულზედ არ ჰოვა, ხელავს რომ აგებს, ასტეს შორს შენ მამარუო, არა შენი დვაცაც. პეტ არ იყოვო, იქნება ერთი თარი კი თქოს, თორემ, იმ საათშივე კავებში მიეარდება. აფსუს მშეენიერებავ, რომ ასე უპატიურებას მიეცემი ხოლმე ზოგჯერ, შენის წინ დაუხედაობით!—

დიან, დაიშლებიან, ან მეორე საათზედ, ან მესამეზედ. ზოგი მხიარულად, რასაკვირველია ვისაც ფულები მოუვია.

ზოგი მოწყენის სახით, ერთსაც და მეორესაც ისე დაეძინებათ, რომ მეორეს დღეს შეუადლებლინ ტკბილათა სძინავთ, სახლ კარი კი წყალს შიაჭის, აქ თუნდა ცისკარი დარეკონ თუნდა წირვა.—ის მაშინ ამას აღარ დაგიდევს. შეილებისა რომ არა ესმისრა, საყდრისას რას გაიგებს.—ამ წინაპერ, ერთს ქუჩაში, დაბალს სახლში, ძალიან გაჩალებული იყო ოთახები; რომ მევიხედე, ელდა მეტა იმდენი ქალები ისხდნენ; ერთს გახურებულს ლოტოს თამაშობაში იყენენ, დადი ყაყანი ჰქონდათ, ზოგს თავი ჩაეკიდნა შეტის უძალობით, მაგრამ მაინც ნომრებს არ ეშვებოდა; ზოგს დასცხომოდა და თითქოს ბუჩქებს ეიგერებდა; მეტად სასოებით თამაშობდნენ, თითქოს ერთს საშინელ სასალხო საქმეში არიანოდა ბაასობენოთ... უყურე, უყრე, დანანებით თავი გავიქნივე და წამოვეყლ გულ ჩათხრობილი.

როდესაც ქუჩის ბოლოს შიუახლოედი, ერთის სახლის ფანჯარაში შეეხედე, ფარდა არ იყო ჩამოფარებული, — შეუზედე, ენახე, მრგვალ სტოლს მემონეევიან ოხი პატარა ყმაწვილები, შეუმი ჩაჯდომია დედა და ასწავლის წიგნის, მეორე კუთხემი იჯდა ჩინოვნივი ერთი ხანში მესული, გაჩერთს კითხულობდა. უსწეველია, მამა იყო ამ ყმაწვილებისა. ამა ახლა ჩემი კეთილი მეოთხეელო მეამოწმეს ეს ორი სცენა, ამათმი რომელი უკეთ ატარებდნენ დროს თითონ მიხედი,

მაგრამ ეს რას ვანბობმას ვას ესმის ეს, ნათევამი; წაკითხამენ ამ სტატიას ჩვენი ოჯახი აშმენებლები და იტყუებან: ილაპარაკებს და დაჩუმდებათ. — ყბედს კაცია ყოველთვის მუნჯი მოღალავსო. თქვენი ნებაა, ჩემო ბატონებო, მაგრამ ჩვენ კი ჩვენსას არ მოვიმლით, — თუ კი თქვენ ლოტოს არ ეშვებით, ჩვენ რაღათ უნდა მოვეშოთ და საქვეყნოდ არ გამოეიტანოთ ყოველი ზნეობის შემარყეველი. ზოგს, თუ ვნასე რამ კიდევ შესანიშნავი ლოტოზედ, შემდგომს მოვილაპარაკებ ცისკრის მკითხველებთან.

თავხელი.

1868 წელსა.

ოკურომბრის 10-

დ რ ა ე ბ ი ს გ ა ზ ე თ ი დ ა ი მ ი ს ი ს ი -
ტ ყ ვ ი ე რ ე ბ ა .

ეს მესამე წელიწადი არის რაც გამოდის ქართული გაზე-
თი „დღოება“ ამ სამის წლის განმავლობაში არავის ხმა
არ ამოუღია ამ გაზეოზედ, და არცარავის უთერამს რამე
იმის მიმართულებაზე და იმის სიტყვიერებაზე ახლა კი, დროა
ესთერათ რამე, თუ რამ ითვმის და ენახოთ, რა ღრატება-
ცა აქტეს და რა ქართულის ენით იბეჭდება, ეს გაზეთი. მინამ
ეიტყოდეთ ჩასმეს ამ საგანზედ თავ და პირველად უნდა
ესთერათ, თუ რის პაზრით გამოსცემს გაზეთს ანუ ჟურნალს
გამომცემი, ანუ რედაქტორი. —]

თავდაპირველად რუსეთში რომ დაიწყეს ჟურნალის გა-
მოცემა, მაშინდელი გამოცემული ჟურნალები ვისაც წაუ-
კითხავს უნდა ახსოედეს, თუ ან რა სიტყვიერებით იბეჭ-
დებოდა, ან რა პაზრებით იყო საესკე, მაგრამ ყველა მაში-
ნდელი მწერალი იმასა ჰსცდილობდა, გაემლივრებინა და კა-
რგათ შეემუშავებინა ენა და ამისათვის ზშირად შეიყრებოდნენ
ერთ-ერთის მწერლის სახლში, პერლათ ჰსჯა, რაც მემოსა-

ტანი იყო ახალი შემოეტანათ და რაც საჭირო იყო ძველი, ისევე ის დარჩომილიყო, — ამ მეცადინეობით კველამ ვიცით, რომ თვით მოკლეს დრომი, ან რა სიმღერებით მიიღო რუსულმა ენამ და ან რა სასარგებლო ჰაზრებით მეივსო; ენა მდიდრდება, ათისა და ოცის წლობით კი არა, ასის, ათასის წლობით, მაგრამ მეცადინეობას და შრომას რა არ შეუძლიან, სადაც მეცადინეობა არის, და ამასთანავე კეთილ სინიდისიანი შრომა, ასე რომ, სადაცა ანგარების მოყვარებით საზოგადო კეთილ მდგომარეობა არ მიდის წინ, უკველა ადვილია, ნიმუშათ უნდა ვიქონიოთ ჩრდილ ახლანდელს დროში რუსთი, რომელთანაც დღი კავშირი ვეზეებს და ეართ დიდად დაგალებულნიცა. თუ კა იმ ძლიერის კვეყანაში, ამ სახით გამდიდრდა ენა, რაფომ ჩრდილ კი არ უნდა მიედევდეთ იმის მაგალითს; ჩრდილ, როდესაც რომ ჩრდინი ენა, ჩრდინი სიტყვიერება, ჩრდილ წინათვე გამდიდრებულიც არის და კარგათაც შემუშავებული; მაგრამ საუბედუროდ, იმ შემუშავებულის ენის ჰსწავლას ვერიდებით და ახალი რაღაცა უცნაური ენა შემოგრუქრება, —

რომარა გგონიათ საყურარელო მყითხველო, ჩრდინთა განსეენ ზშდულთა წინპართა, ამ ენის შემუშავება, იაფათ და უჯდებოდათ? იმათი პირველი მეცადინეობა ის იყო, თავათი ენა დაეცეპთ, რომლის მიხეზათ მრავლის წლობის გან-

მაელობაში სისხლსა დერიდნენ და არ აძლეველნენ ნებას, რომ მცერსა შეერყია იმაზე სამთაბლო ენა. ამ სისხ ლით დაცულს ენას, რომელიცა შემუშავებულიც არის და გამ- დიდრებულიც, ჩეტი რომ შეეხნეთ დასაჩლვეველად, არ ჩაგვეთელება შამაკედინებელ ცოდვად? ჩეტი გეგონია უფრო მომეტებულიც იყოს! ეითომც და, ჰეცულობთ დაცემულის ენის აღდგენასა; ეითომც თუ ვპსცდილობთ შემუშავებას და ამისათვის დავიწყეთ ურნალების და გაზეთების გამო- ცემა,— მაგრამ ამით შორს მხედველი ცხადად დაინახავს, რომ აქ რაღაცა ვაჭრობის შზგავს ხელობა! მაგრამ ეს რა მოქვეი, არა ვაჭარი, არა რომელიმე ხელობას პატრიონი, ისე ვერ მოუწევა, რომ ასე უსეინდისოთ გაავეთოს ნიეთი რამ, ფასი გადამახდევინოს და ის ნიეთი არა თუ გამამაღეს, პირიქით, ვნებაც მაშცეს; — ურნალს თუ გაჩეთსა ჰყიდიან ჩეტიზედ გამომცემლები, და იმ გაჩეთს, თუ კურნალს არა თუ სარგებლობა მოაქმა, როგორც აშას დაგამტკიცებთ ქვემოთ, პირიქით დიდს ვნებასაც გეაძლევს. რაც უნდა კარგათ დახელო- ვნებული იყოს ქართულს ენაში კაცი, თც რამდენსამე წელი- წადს დაპყოფს ერთ-ერთ სომეხთან, სრულებით გადაავიწ- ყდება კარგი ენა და სომხურათ გადაუკეცეს; მაშ რა იქნება? სულ ყოველთვის რომ ჭრელებულს ეჩამე ვკითხულობდე, რა ქართულს ვისწავლი? არა თუ ვისწავლი, რაც ვიცა

ისიც დამავიწდება, ასე განლავთ, ბატონო შეითხეველოა
ამ სახით მოაქეს ჩუმინოვა, ვნება იმ განებისათვის, გამასა-
დება ნიკოს, რომელიცა სარგებლობას არ მატლებს და სახია,
დელი კი მასდევანებერ, აშას გარდა, ვსთვეათ, ამ ჩუმინია
ახალმა მწერლებმა (უფრო სჯობია ვთქვათ მჩბავებმა) თა-
ვიანთის ფაქტით, გაამდიღეს ენა, კარგათ შეიმუშავეს და
უნდათ წაგვაკითხონ, თავიანთი კალმისგან გამონაცემი თხზუ-
ლება, — წავიკითხეთ კიდეც.—რა დარჩა თავში? არაფერი,
სრულებით,—ერთი იოტის ოდენი! რა დარჩება თავში,
როდესაც სრულებით ვერა შევიტყება. რაც ზემოთ
მოგახსენეთ მკითხველო, მოვყენეთ იმ ქართულ გაზეთ-
ზედ, რომელიაც ეწოდება „დროება“, და რომელიცა აგრძ
მესამე წელიწადი არის გამოდის, ვისთვის, ჯერ ის კი არ
ვიციოთ,—მიმხდარეართ კი, რომ ეითომეც ქართველებისათვის
გამოდიოდეს. უკაცრაოთა ვართ! ეს გაზეთი ქართველებისათვის
არ გამოჰის. ინ რათა:

ამ დროს ჩუმინი იმდენი არაენ არის, რომ არ იცოდეს
რუსული ენა და, მაშასადამე არა კითხულობდეს რუსულს
ენაზედ გაჭოცემულს გაზეთებს, საღაც „ღროებაზედ“ აღრე
ახალი ცნობებიც იძეჭდება და ახალ-ახალი ქვეყნის ამბე-
ბიცა. ამას გარდა, „ღროება“ პსთარების რუსულის გაზე-
თებითგან და ჰერეტიკის იმ დროს, როდესაც ჩუმინ რუსულს

ენაშედ წაკითხულებიცა გვაქტს!, ორის და სამის კვირის
წინად, აქედამა ნათლად ჰსჩანს. თუ წაკითხავენ „დროებას“,
ისევე ქალები, სოფელში, სადაცა ჯერ რუსულის ენის უ-
წყლელინ არიან, იმ სოფლის ქალებს უნდა შიუტანის ამ
გზეთმა სარგებლობა, მაგრამ რა სარგებლობას მიუტანს,
როდესაც რომ ზოგი ერთი იმ გვარები იძეჭდება, რომელ-
საც სრულებით ვერას გაივებს მკითხველი; სოფელში, ჩეტ-
ნმა ქალებმა ქართული ენა კარგად იცაან, ამისათვის რომ
წაკითხული აქტით ქართული ხელნაწერი წიგნები და იმათ
აჭრელებულს ენაშედ მიუვიდეთ რამე, წაკითხონ და ვერა
გაიგონრა, კიდეველა მოჰკადებენ ხელს? დროების ქართული,]
სომხის ქართულია!

[იქნება იფაქროს ზოგიერთმა, რომ ეს თქმა მოგვიდიო-
დეს შტრობით, — ღმერთმა გვამოროს, იქნება ესეც იფაქ-
როს, რომ რასაც ვამბობთ, ტყურალი იყოს. ამის დასაჩრ-
პიცებლად, ნიმუშათ აეიღოთ, ჩემო კეთალო მკითხველო,
ერთ-ერთი „დროების“, ნომერი და ენახოთ, რა ენითა ჰსწე-
რენ ჩეტნი ახალი გენიოსები, — ყველა გზეთის გარჩევა
ძნელი არის, და არცა ვისა აქუს იმდენი დრო და უამი,
ააშენოს ამ საგანზედ დიდი შწიგნობრული შენობა; მხო-
ლოდ მკითხველის დასაჩრპიცებლად, რომ რასაც მოვაჭირებთ
სრულებით ჭეშმარიტია. ვიტყვეთ:

ამ წლის 39 ნუმერში, დაბცჭდილია ფალოსოფიური პსჯა, რომელსაცა ეწოდება: „ჩეობათი, გონებათი და ესტეტური განსა, (3 გვერ. პირველ ხაზთან, თავშივე) აბა ჩემო მკითხველო, აღიარე კეთილ სინიდისით, გაიგე რამე? რა არის, ღრუთის გულისათვის „ესტეტური განსა ზნებითი და გონებითი.“) ეს როგორცა ჰქიანს, რუსული თგან უნდა ეთარგმნოს ამის დამწერს, თუ გვეცოდინება რომლის წიგნითგან უთარგმნის, მაშინ შეიძლებადა, ამ სიტყვების განმარტება და ეცდებოდით გაგვეგებინა მკათხველისათვის, ახლა კი სწორე მოგახსენოთ, არც გვექვის და არცა განმარტებასა ეკისრულობოთ. თუ ოქტომბერი რაშ აქერდან, თუ მცირები ნებაა მკითხველი „ისტორიული გამოცდილება გეიმტკიცებს, რომ კეთილ მოქმედება აბსოლიუტურად საჭიროა კაცობრიობის ბედნიერებისათვის“ (იმავე ხაზთან, შესაეკუთ) ჯერ ერთი ესა, უფალო მწერალო, რომ რაც შენი არა არის რა, რას ამტკიცებ; და თუნდა შენიც იყოს ეს „აბსოლიუტური“ საჭიროება, რომელმა სოფლის ქალმა შეიტყოს, აბსოლიური, რომელია?

არა ჩემო მწერალო, შე რაშ შენს ალაგს ვყოფილი ყავი ასე კი არ ვიტყოდი; ისე დავწერდი რომ გუეგო ვისმე რამ. — დიდი ხანია დამტკიცებულია ეს, რომ კეთილ მოქმედი ნება კაცობრიობის ბედნიერებისათვის საჭირო არის. — ეს

ცოტათი გასაგონია. — „ლიქვის ბეღნიერება არ უჩევებს რაიმე, წარტოლვილს იდეის, არამედ იგი საჩოგადო გრძნობა— რომელიც წარმოსდგება უმრავლეს კერძო შთაბჭყალება თაგან: ეს არის ჯამი მრავლას სასიამოვნო გრძნობებისა.. (იმავე ხაზთან, მერე სტრიქონში). მოგახსენებენ ბატონ ა მკითხველო, „დროების“, გამომცემი, სიტყვები რაც უნდა იყოს სულ ერთიან, სიტყვა, ჰაზრი არისო. — საიდამ მეორეობა ჰაზრი თუ არა სატყვებისაგან? თუ ქართული სიტყვა უშა არ ესმი ქართველსა, მაში როგორ მიხვდება ის ჰაზრი? აი ბატონი მცირხველო, ეს სიტყვები და ესეც ჰაზრი, შეიტყეთ! ზემოთაც მოგახსენე ჩემო კეთილო მკითხველოდა ახლაც, რომ გეცოდნიდა საიდამ უთარგმნია მწერალის ცხოველის ფილოსოფიური თხზულება, წაციკითხავდით ყურადღებით და განმარტნითაც განვიმარტავდით, მაგრამ ჩეცნდა საუბრა დუროდ რაღგანც ამ სიტყვებიდგან ჩეცნდა არა გვესმის რა, ამისათვის, როგორც ბნელად არის დაწერილი, ისე ბნელათვე დარჩეს. ძველის კაცებისგან უემიტყვია, იმათაგან: რომელთაც ისევე ისე დაშხვლი აქესთ გონება და თარგამოსის დროს ჰაზრი ზედა დგანან, ესა და ეს კაცი ისეთის კალმითა სწერსო, რომ უას გახეთქს იმისი დაწერილიო, ისე მაღალის და შმეგნიარის ენითა სწერს. უთუოთ ეისაც უთარგმნია ეს მაღალი საგანი, აზრად ეს ჰქონია, წაციკითხვენ და გაპევირდებიან ასე

ურაშედ შერასბო.

„იგი ვერ შეიქნება ვერას დროს იმ ლრმა და უძლუ-
რესს უგრძელობათ, რომელსაც ჩუპი ეუწოდებთ სრულს ბედ-
ნიერებათ და რომელსაც შემოაკენტს ჩუპის არსებაში ნათელი
და სიცოცხლე „ (იმავე ხაზთან შეოცდა თერამეტ ! ცრუიკონში)
აეს ნაცეკვალ სახელი იგი „ უთუოთ კაცს მიეწერება. — ასე
რომ ესთქმათ, კაცი ვერ შეიქნება ვერას დროს იმ ლრმა და
უძლურეს უგრძელობათ, რომელსაც ჩუპი ეუწოდებთ სრულს
ბედნიერებათ, — რაო? მგონია ეს ამასა ნიშნავს, კაცი ვერას
დროს ბედნიერი ვერ იქნება. თუ მეცის-მეფის გრძელობა
არ გამოელია. — მე კი ასე მესმის და, თქუმევი რა მოგა-
სხენოთ! განა კაცს რომ გრძელობა მოაკლდება, მაშინ შეიქ-
ნება ბედნიერი? აი ჩემო მყითხველო, ეს ჭეშმარიტება ჯერ
ხომ არ იცოდი, ისეც ახლა შეიტყე, მაშასადამე დაუმა-
დლე აქტეტიკურის გახსნის, მთარგმნელის; მოდი და ნუ
გავიცინებთ, კაცს რომ მიეხდება გრძელობა, მაშინ შეიქნება
ბედნიერი, ასე რომ მაშინ დაადგება „თავსა ზედან ნათელა
და მიემარება სიცოცხლეც!!! „ იმას უნდა აქენდეს. ასე იგი
კაცს „ სახეში უკანასკნელი მოქმედებანი ჭეშმარიტებია და
არა მხოლოდ დაახლოევებული პრაკტიკული იმისი რეზულ-
ტატები. (მესამე ხაზთან, მეშეიდე სცრუიკონი] განა შეიძლება
კაცს სახეში ჰქონდეს რამე? სახეშე კი შეიძლება ჰქონდეს შავი
ხალი, შეიძლება ჰქონდეს შეუწევი. — რომელი ქართველი იტყ-
ვის: სახეში ჰქონდეს შეუწედება უნდა, ჰქონდეს კაცსაც.

ასე კი შეიძლება ეპთქურით და გაიგონებს კიზეც მეტავე
ლი: კაცმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ჭიშმარიტეთ კუვა
ყოველთვის სჭრიო, იმის კეთილდღ ცხოვრიბისათვის. თუ
ღმერთი გწამს მეოთხეელო, მემტყობინე, რას ნაშნავი გა
არის (ესე იგი კაცი) ზედ მიწევნილი ტაპი ედეილურის კა
ცია, რა უბედურება! განა არ შეიძლება ასე ეოქი დაჭ-
წერელს. მამინ ის კაცი არის ყოველის კეთილთ სრული;
ან კიდევ, ასე: მამინ ის კაცი არის ნამდევრი სრული კაცი.)
ეს „უწმინდური ლოტოლვილები“, „რომელია, რომ ეს უფე-
ლი ჩუმი ასტეტური გახსნის“ ბერლინის ხმარობს თავის
თარგმნილში. — „უწმინდური მაეწერება არა წმინდას; ალ კა-
ლვილება, გაქცევას ნიშნავს. ეს მაინც როგორ აღარ გახ-
სოვს ბარონო მთარგმნელო, რომ ჩუმი საქართველოს ის-
ტორიაში სშირად შეგხედება, „დალტოლვილ იქმნა იგი,
ესე იგი, რომ დაამარცხეს, გაიკცაო. აუწმანდური
ლოტოლვილება, ვითომც ჩირქიანად გაიკცაო, ჯიორდანი
ბრუნოსი. რომელი ერთი გამოქობოს კაცმა, ზემოთაც
ვპისტეთ, დაწერილებით რომ გამოუდგეთ, რაც გაზეთები
გამოსულია, სამი და ოთხი იმოდენი იმაზედ გარჩევა დაიწე-
რებოდა, აქ ხშირად შეხედება მეოთხეელს, ელემენტებიც,
აბსოლიუტური სარგებლობა, მოტივებიც, და სხ. და სხ.

(ები საბრალოვ ქართულო ენავ, ვაი საბრალოვ ჩემო
მეოთხეელო, ახლა რომ იხედოს ერთ-ერთმა ჩუმიშა მი-

ძინებულმა წინაპარშია და ამ ახალს თრინჯულს ენას თვალი გადაელოს, შოგვიწონებდა? რა კვათვები, ვინც თავს გამოჰყობს შეორე თუ მესამე კლასითგან, სათვალებს იყოთვებს? წეერს იყენებს და მწერლობას იჩემდებს. ის სულ ზემოთ იყურება, როგორც ჩეტიში იტყვიან „ვა ქუდათ არ მიზანია და, დედა მწა ქალამნათ“. ვინც ანბანას ისწევლის, ის მოგახსენებთ, პირველი ლატერატორი ვარო. კოთხეოთაც არა კადრულობენ, ჰერთონ იმათ, ვისაც ქამათ კირვით ჭრა ენა; მგრამ რასა ჰყაოს, ვენ, რო ესაც რომ და და სათა-კალოთაც მიზნიათ. ეს რაც მოგახსენდოთ უკიდულოა, „დროების“, სიტყვიერებში ესაუბრებ თქმილიან, შეზღუმში მოვილაპარაკებ დანარჩენებზედ, და ამასთანავე იმასცა რაც ჰერთიათ აზრიდ ამ განხეთის გამომცემლები, ჯერ ამ ნომერში კი ხელად ესა კმარა. —

კულტურული კატეგორიები.

რ ე დ ა ქ ც ი ი ს ი გ ა ნ .

მომავალის 1869 წლიდან ჩეტი, ცისკარი, თავისის „ტუ-
თნისდედით, გამოვა იმავე მიმართულებით და იმავე თანამშრო-
მელთ შემწეობით, რა მიმართულებითაც და რომელთ თა-
ნამშრომელთ შემწეობითაც გამოდიადა. ჩეტი ვერას ეიტყ-

ეით შესახებ ქურნალისა ამის მეტს, რომ სპონგადოებამ
საკმაოდ სცნო და ღირსებაც ქურნალისა და ლეიტლიც ბამი-
შეკმელისა თორმეტის წლის განმავლობაში მხოლოდ ამას
ეითხოვთ, — ესაც სურდეს დაბარება „ცისკრისა“ დროთი
აცნობოს რედაქციას და თან წარმოადგინოს ხელი ფასი. —

სია 1869 წლის „ცისკრისედ“ ხელის მომწერთა:

ტ ფ ი ლ ი ს შ ი.

- 12 დომიცის ყაფიანი,
კნ. მარიამ ჭავჭავაძესა,
თ. გორგა ერის-თავი,
კნ. პ. შ. ერლეგერემტენისა,
თ. გორგა ანდრიანიშვილი,
თ. ევგენ ბებუთოვი.

ქ უ თ ა ი ს შ ი.

სტეფანე აკოფოვი.

- 19 პეტერბურგ რ დ შ ი.
ნიკოლაიშ და კოსტანტინე კიფიანები.



„ცისკრის“, დაბარება, შეიძლება, ამ სახით:

ტფილისში, ავგილოვანი გაუგზავნელად 6 მან. დაშა-
ტებით, 7 მან.

სხუ, ქვეყნებში გაუგზავნელად დაუმატებლივ 7 მან. დაშა-
ტებით, 8 მან.

რედაქცია იმყოფება კუჯიას, საკუთარს კერძესელიძის სახლებ.
ში, ქ. ტფილისში.

ვისაც ჟურნალი დაკლეს და თავის დრაზედ ან მაქ-
რთას უმორჩილესად ითხოვა რედაქცია, მაშანე გეაცნო-
ბოს ამ აღრესით:

„ცისკრის“, რედაქციაში ტფილისს.

дозволено цеазурою, на 15.1868 რედ. კერძესელიძი.